## ფრინველების რეპელენტური სისტემების მაგალითები

საჭიროების შემთხვევაში, მყარი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ტიპის რეპელენტური სისტემები ფრინველების დასაფრთხობად. ფართოდ გამოყენებული რეპელენტებია:

1. პროპანის მფრქვევები (Propane cannons);
2. ბიოაკუსტიკური მოწყობილობა;
3. ლაზერული რეპელენტი;
4. ვიზუალური ოპტიკური საშუალებები;
5. დაფრთხობა ძაღლებით;
6. დაფრთხობა ფრინველების ფიტულით;
7. დაფრთხობა მტაცებელი ფრინველებით.

ქვემოთ მოცემულია რეპელენტური სისტემების შემოთავაზებული ტექნიკური მახასიათებლები:

| # | ტექნიკური მახასიათებლები | |
|---|---|---|
| 1 | სისტემის 1 კომპლექტის სამუშაო არეალი | სულ მცირე 4 ჰა |
| 2 | გამოცემული ბგერის სიძლიერე | 96 დბ-მდე |
| 3 | დაფრთხობისთვის გამოყენებული ნივთიერება | პროპანი |
| 4 | დაფრთხობისთვის გამოყენებული ნივთიერების რაოდენობა (ბალონი) | სულ მცირე 12 ლ |
| 5 | 1 ბალონით განხორციელებული მინიმალური გაფრქვევები | 15,000 გფრქვევა |
| 6 | ოპერირება | 6-12 V აკუმულატორი |
| 7 | გაფრქვევის ტიპები | სულ მცირე 3 სხვადასხვა ტიპის |
| 8 | ოპერირების ინტერვალი (გაფრქვევებს შორის ინტერვალი და გაფრქვევის ტიპებს შორის ინტერვალი) | აუტომატური ან ელექტრონული |

ფრინველების რეპელენტური სისტემის მაგალითია **Purivox Carousel Triplex V bird repellent.** ეს არის ეფექტური ფრინველების დამფრთხობი მოწყობილობა, რომლის ზემოქმედება ვრცელდება 4-5 ჰა-ზე. გარემო პირობებიდან გამომდინარე, ამ მოწყობილობით შესაძლებელია 25 ჰა-მდე ტერიტორიის დაცვა და ახდენს 3 სხვადასხვა ტიპის გაფრქვევას. იგი გამოიყენება:

- სხვადასხვა სამრეწველო ობიექტზე;
- აეროპორტებში;
- სოფლის მეურნეობაში;
- ნაგავსაყრელებზე;
- და სხვ.

ბგერის გამომცემი მოწყობილობა და ელექტრონული კვანძი ხელსაწყოს ზედა ნაწილშია მოქცეული. სამფეხა სადგამის ბრუნვა შესაძლებელია გაფრქვევის ტიპის შესაბამისად და დაფარვის არეალია ხელსაწყოს გარშემო 360$^{O}$. მოწყობილობა დგას 2 მეტრის სიმაღლეზე მყარ სამფეხა სადგამზე და შესაძლებელია ნებისმიერი ტიპის ზედაპირზე დამაგრება. მოწყობილობის ელექტრონული კვანძი იძლევა მისი დარეგულირების ფართო შესაძლებლობას:

- ინტერვალების გადართვას;
- გაფრქვევების რაოდენობის დაყენებას;
- გფრქვევის მოცულობის დაყებას.

მეორე მაგალითია **ფრინველების ციფრული რეპელენტი,** რომელიც გამოსცემს სხვადასხვა სიძლიერის ბგერებს სხვადსხვა სახეობის ფრინველების დასაფრთხობად. ამ დანადგარის სამუშაო ფართობია 4,000 $m^2$ და მუდმივი დენის წყაროს გარდა შესაძლებელია 12 V ბატარეით აღჭურვა. საკმაოდ ეფექტურია თუ აღნიშნული ხელსაწყოს გამოყენება მოხდება სხვა რეპელენტებთან კომბინაციაში, მაგ., დაფრთხობა მტაცებელი ფრინველებით ან დაფრთხობა 3D ეფექტის მქონე ბურთის საშუალებით.